F567 ~3902

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 15 (175)

აგვისტო, 1967 წელი



ვარძია — კლდეში ნაკვეთი ქალაქი.



სურათზე: თბილისი, ორთაჭალა; ახალი რვასართულიანი საცხოვრებელი სახლები, ვახტანგ გორგასალის ქუჩაზე.

შავწყალას ახალმოსახლენი

გუდაუთა. კალმახი და კავკასიური ორაგული შეავიწროვეს შავწყალას თევზსაჭერ მეურნეობაში. აქ გაჩნდნენ დონიდან გადმოსახლებული სვიის ლიფსიტები.

აფხაზეთის იქთიოლოგები დიდი ხანია ცდილობენ მოაშენონ მეურნეობის გამდინარე გუბურებში კალმახთან ერთად სხვა ჯიშის თევზები. გადაწყდა უკვე წელს გუბურებში გაუშვან ჭანარი. მაგრამ აი ამ დღეებში სპეციალისტთა რეკომენდაციით ჩამოიყვანეს ჰიბრიდების ლიფსიტები, რომლებიც მიღებულია სვიისა და ცქვრინის შეჯვარებით. ამ ჯიშის თევზი სვიასავით დიდია და ისეთივე გემრიელი ხორცი აქვს, როგორც ცქვრინას. გარდა ამისა, ეს თევზი ძალზე ამტანია. იმავე დღეს რამდენიმე ასეული ლიფსიტი წყლით ავსებული პოლიეთილენის ტომრებით წყნარი დონის ნაპირებიდან ჩამოიყვანეს სწრაფი შავწყალას ნაპირებზე.

იქ, ენგურს დაშორებით

ერისწყალი ენგურულ ჰიდრომშენებელთა ერთ-ერთი მაღალი მთის დაბაა ზუგდიდის ჩრდილოეთით. პატარა ფინური სახლები, მოუკირწყლავი ქუჩები და არც ერთი უქმად მოსიარულე ადამიანი. აქ ცხოვრობენ გვირაბგამყვანები, მათ ნახელავს ცის კამარიდან რომ შევხედოთ, საკმაოდ საინტერესო სურათს დავინახავდით. მთის გულში ჩაქრა ქვის დახრილი დერეფნები, რომლებსაც, თუმცა ჯერ არ არიან ერთმანეთთან შეერთებული, მაგრამ სავსებით გარკვეული მიმართულება აქვთ.

ეს ფრაგმენტებია თითქმის 16 კილომეტრი სიგრძის გვირაბისა — ენგურის ახალი, მიწისქვეშა კალაპოტისა. მისი სიმაღლე 9 მეტრია, ასე რომ გვირაბში ადვილად მობრუნდება 27-ტონიანი სატვირთო მანქანა. წყლის ნაკადი, რომელიც გვირაბს აავსებს, აამოძრავებს 1,6 მილიონ კილოვატზე მეტი სიმძლავრის ტურბინებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ ნაგებობას თავს გაართმევენ მხოლოდ ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები, თავიანთი საქმის მცოდნენი. ნაწილობრივ ეს ასეა. მაგალითად, „გვირაბმშენის“ სამმართველოს მეთაურობს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიორგი წულეისკირი, რომელსაც ჰიდრომშენებლის დიდი გამოცდილება აქვს. იგი მონაწილეობდა საქართველოს რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის, ეგვიპტის ასუანის კაშხალის მშენებლობაში. იგივე ითქმის სამმართველოს მთავარ ინჟინერ გ. გელდიაშვილზე, მთავარი ინჟინრის მოადგილეზე ვ. კასრაძესა და სხვებზე.

და მაინც ერისწყალში უმთავრესად ახალგაზრდობაა. აბა განსაჯეთ: სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი ლევან გაბუნია 30 წელზე ცოტა მეტი ხნისაა, მაგრამ მასზე ამბობენ გამოცდილი, მცოდნე ინჟინერიაო. ენგურჰესი ლევან გაბუნიასთვის მეორე მშენებლობაა. ასევე არიან სამმართველოს მთავარი მექანიკოსი ნანსი შარტავა, უბნების უფროსები გენო გამყრელიძე, ჯონი ჭანჭალეიშვილი, გიზო შეროზია...

ესეც კია, ახალგაზრდობა აქ განისაზღვრება არა წლებით, არამედ სულიერი წყობით და ენერგიის იმ მარაგით, რომლითაც საქმეს კიდებენ ხელს. ჯონდო დარახველიძემ, ამ მხიარულმა, სიცოცხლით სავსე ადამიანმა ორმოც წელს გადააბიჯა, სამმართველოში იგი მომარაგებას განაგებს. მაგრამ გამოცდილ ჰიდრომშენებელს არ მოსწონს თავისი თანამდებობა. რა თქმა უნდა, იგი საპატიო, პასუხსაგებია, მაგრამ სანგრევში, როგორც თვითონ ამბობს, უფრო კარგად გრძნობს თავს.

ლევან გაბუნიაც და ჯონდო დარახველიძეც ჩემი ძველი მეგობრები არიან, ერთმანეთი გავიცანით ხრამჰეს-2-ის მშენებლობაზე (სხვათა შორის, ჯონდოსათვის ეს მესამე მშენებლობაა). აქედან ისინი გადავიდნენ ენგურზე. მე ვკითხე ბიჭებს, ხომ არ დაიღალნენ ხეტიალით, ხომ არ სურთ მშვიდი ცხოვრება? ლევანისათვის პასუხის გაცემა უფრო ადვილია — იგი უცოლოა, თავისი თავის ბატონ-პატრონი; ჯონდო? მას ხომ ოჯახი ჰყავს?... მისი პასუხიც უარყოფითია.

მართლაც, მუშაობით იგი კმაყოფილია (ჯონდო იმედს არ ჰკარგავს, რომ სანგრევს დაუბრუნდება), ხელფასი კარგია. ქალიშვილი აქ, დაბაში იღებს საშუალო და მუსიკალურ განათლებას. მოწყენილობაა? არც ერთ გამოჩენილ საბჭოთა და საზღვარგარეთელ მსახიობთა კონცერტს სოხუმში არ აკლდებიან გვირაბგამყვანები (ამ მიზნით მათთვის გამოყოფილია სპეციალური ავტობუსი), ამ ცოტა ხნის წინათ კი დაბაში გაიხსნა ენგურჰესის მშენებლობაზე პირველი ახალგაზრდების კაფე.

ცხადია, ერისწყალში ისე ვერ გაერთობი, როგორც დედაქალაქში. აქ არ არის ქალაქური კომფორტი, მაგრამ ახალგაზრდობას გული აქეთ მოუწევს. მაგალითად, თბილისელი ინჟინრის გენო გამყრელიძის, როგორც ჰიდრომშენებლის სტაჟი დიდი არ არის — წელიწადზე ნაკლებია, მაგრამ იგი სავსებით დაეუფლა ახალ პროფესიას, ფანატიკურად უყვარს თავისი საქმე. მისი მეუღლე ლიკა, — სადაბო სკოლის მუსიკის მასწავლებელი, ზოგჯერ სამართლიანად ჯავრობს, ქმარი ისე გაიტაცა რეკორდულმა გამომუშავებამ, რომ ცოლისთვის დღესასწაულის მილოცვაც კი ავიწყდება და შეუძლია მისი დაბადების დღეს მარტო დატოვოს შინ.

რა თქმა უნდა, რომანტიკა იტაცებს ახალგაზრდობას, მაგრამ მარტო რომანტიკით ვერ ანაზღაურებ იმ დიდ შრომას, რომელსაც იგი ახმარს ამ ურთულესი ნაგებობის მშენებლობას. მე ვგულისხმობ გვირაბგამყვანთა მატერიალურ წახალისებას. ვერაფერს იტყვი, აქ ამას არ უჩივიან მათ შრომას კარგად ანაზღაურებენ. მაგალითად, ახალგაზრდა ინჟინრებს, რომლებმაც ეს-ეს არის მიიღეს დიპლომები, ენიშნებათ 160 მანეთი ხელფასი, გარდა პრემიებისა გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხოლო კვალიფიციურ მუშათა გამომუშავება 300 მანეთსა და მეტსაც შეადგენს. უსაქმოდ აქ არც ქალები სხედან. ზოგიერთი ოჯახის ბიუჯეტი დაბაში პროფესორის ბიუჯეტზე მაღალია.

მშენებელთა შემოსავალს განსაზღვრავს მიწისქვეშ გაყვანილი მეტრები. გაყვანილი კი ცოტა როდია — დაახლოებით 4,5 ათასი მეტრი, — საწნევი გვირაბის სიგრძის თითქმის მესამედი. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გვირაბგამყვანებმა გადაწყვიტეს გაიყვანონ მეხუთე და მეექვსე სანგრევი. ეს პასუხსაგები ვალდებულებაა, მაგრამ ნახევარზე მეტი — 1.230 მეტრი, მშენებლებმა უკვე გაიყვანეს.

ძნელია მიწისქვეშა კილომეტრების დაპყრობა. 60-65 მეტრი გამონამუშევარი თვეში — ეს არის ამფეთქებელთა, გვირაბგამყვანთა, მექანიკოსტრენთა, მძღოლთა, და იმათი საერთო შრომის შედეგი, ვინც ასწავლის მათ ბავშვებს სკოლაში, ზრუნავს პატარებისათვის საბავშვო ბაღებსა და ბაგებში, ვინც გვირაბგამყვანთათვის სასადილოში ამზადებს გემრიელ საჭმელს. ტყუილად ხომ არ ამბობენ: საიმედო ზურგი გამარჯვების საწინდარიაო.

ი. ყიფიანი.

ელმავალმშენებლობის ჰიროწერი

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის **აპოლონ მასხარაშვილის** სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ელმავალმშენებლობის ისტორია. იგი ერთ-ერთია იმ თოთხმეტი ენთუზიასტიდან, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში რკინიგზის პირველი უბნის ელექტრიფიკაციის შემდეგ უდიდესი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ელმავლების შექმნაში.

...1932 წელი. 19 წლის აპოლონმა დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი და წავიდა მოსკოვის „დინამოს“ ქარხანაში პრაქტიკის გასავლელად. შემდეგ მუშაობა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პირველ ელმავალშემკეთებელ საამქროში.

ძალიან მალე დამყარდა საქმიანი კონტაქტები ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელ ქარხანასთან, რომელიც მაშინ ერთადერთი იყო ჩვენს ქვეყანაში. როგორც წამყვან სპეციალისტს ა. მასხარაშვილს ხშირად უხდებოდა კოლეგებთან გამგზავრება, მათთან რჩევა-თათბირი.

და აი ერთხელ, ნოვოჩერკასკში ყოფნის დროს მასხარაშვილმა წამოაყენა წინადადება — აშენდეს ელმავალსაშენებელი საწარმო თბილისში ელმავალშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე, მოიყვანა დამაჯერებელი არგუმენტები: ელმავალშემკეთებელ ქარხანას მძლავრი ბაზა აქვს, მისი საამქროები გამოსადეგია აწყობისათვის. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ კმაროდა, მაგრამ მაშინ სხვა, უფრო შესაფერისი ბაზა არ იყო. გარდა ამისა, რუსთავში უკვე ადნობდნენ ფოლადს, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანას შეეძლო სხმულით უზრუნველყოფა, ხოლო თბილისის პლასტმასების ქარხანას წარმატებით შეეძლო ელმავლების მომარაგება პლასტმასის დეტალებით. და აი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დეტალი: შემკეთებელმა მუშებმა კარგად აითვისეს ტექნიკა, ქარხანაში ბევრი იყო გამოცდილი ინჟინერი. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საქართველოს ყველა სამრეწველო საწარმო და სამშენებლო ორგანიზაცია მხარს უჭერდა ამ გაბედულ წინადადებას.

ა. მასხარაშვილმა საფუძვლიანად დაიცვა თავისი გეგმა საქართველოს მთავრობის წინაშე, საბჭოთა სპეციალისტების დიდი აუდიტორიის წინაშე. მისი გამოსვლები, როგორც მომსწრენი აღნიშნავენ, დისერტაციის დაცვას ჰგავდა. მას უხდებოდა ამომწურავი პასუხი გაეცა მრავალ შეკითხვაზე. და მასხარაშვილმა დაამტკიცა, რომ საქართველოს ახალგაზრდა მრეწველობა საკმაოდ მომწიფდა იმისათვის, რომ ხელი მოეკიდა ასეთი სერიოზული საქმისათვის.

1957 წლის ივლისში უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისში ელმავალსაშენებელი ქარხანა აეშენებინათ. დაიწყო მუშაობა ხელახალი აღჭურვისათვის. სიძნელეები რა თქმა უნდა, ბევრი იყო, მაგრამ საწარმოს მუშებმა, იმის შეგნებით. რომ ასეთი მანქანების შექმნა მიანდვეს, ყველაფერი გადალახეს. 1957 წლის 29 დეკემბერს „ვლ--8“ პირველმა ელმავალმა თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარკით დატოვა საამწყობო საამქრო.

აპოლონ მასხარაშვილი — დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი — ახლაც მუშაობს ქარხნის მთავარ ინჟინრად. და, როგორც ყოველთვის, მონაწილეობს ახალი ელმავლების შექმნაზე.

ვ. ამაშუკელი.

ენისელში იწრთობიან


ამ ორსართულიან შენობას, რომელსაც ვრცელი ეზო აქვს, იცნობენ არა მარტო სოფელ ენისელის მცხოვრებლები, არამედ უველა უვარელიც. აქედან ყოველწლიურად დამოუკიდებელი ცხოვრების სარბიელზე გამოდის 400 ახალგაზრდა მუშა, ხოლო მათ ნაცვლად კახეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან სხვა ქალიშვილები და ჭაბუკები.

ახლა საზოგადოებრივ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხელის შრომას სულ უფრო მეტად ცვლის მანქანები. რა თქმა უნდა, საჭიროა დიპლომიანი ინჟინერები, მშენებლები, მექანიკოსები, რათა უხელმძღვანელონ რთულ მეურნეობას, მაგრამ საჭიროა აგრეთვე დიპლომიანი მუშები, რომლებიც შეძლებენ კვალიფიციურად შეასრულონ სხვადასხვა ოპერაცია, მართონ თანამედროვე მექანიზმები.

ენისელის სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ამზადებს ასეთ მუშებს — ზეინკლებს, ხარატებს, ელექტრომონტიორებს, ტრაქტორისტებს, ექსკავატორის მემანქანეებს, შოფრებს. ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს ელექტრომონტიორების მომზადება ქიმიური საწარმოებისათვის. არჩეული სპეციალობის სირთულის მიხედვით მოსწავლეები სასწავლებელში იმყოფებიან ერთ ან ორ წელიწადს. მეცადინეობა მიმდინარეობს კლასებში, თვალსაჩინო ხელსაწყოებით აღჭურვილ კაბინეტებში, სასწავლო სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში, პრაქტიკულ ჩვევებს იძენენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, მეურნეობათა შემკეთებელ სახელოსნოებში და რუსთავის სამრეწველო საწარმოებში.

სასწავლებლის დირექტორმა შ. გიგიაშვილმა გვიამბო სოფლის კადრების სამჭედლოს მომავალ პერსპექტივებზე:

— მომავალ წელს ვაპირებთ გავადიდოთ მოსწავლეთა კონტინენტი. ამისათვის განზრახულია ავაშენოთ დიდი საწარმოო კორპუსი 400 სასწავლო ადგილით და კიდევ ერთი საერთო საცხოვრებელი 200 კაცისათვის. მაშინ უფრო სრულად უზრუნველვყოფთ სახალხო მეურნეობას კვალიფიციური მუშებით.






საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს შვიდი თევზგამყინავი ტრაულერი აწარმოებს ამჟამად თევზის ჭერა-დამუშავებას ზღვებსა და ოკეანეებში. ნახევარ წელიწადში მათ 180 ათასი ცენტნერი თევზი დაიჭირეს და სატრაულერო ფლოტის მცურავ ბაზებს 135 ათასი ცენტნერი მზა პროდუქცია ჩააბარეს. დამზადებულია 15 ათასი ცენტნერი თევზის ფქვილი, რაც ერთნახევარჯერ მეტია შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით.

ქართველი მეთევზეები წლის ბოლოსათვის სამშობლოს გეგმის ზევით 3.000 ცენტნერ თევზს ჰპირდებიან.

სურათებზე: მარჯვნივ — ატლანტის ოკეანე, ტრაულერ „რუსთავის“ ეკიპაჟი ჩასაშვებად ამზადებს ტრალს; მარცხნივ — ასეთი ნადავლი ეშვება, როდია ხოლმე, 20-25 ტონა თევზი ამოაქვთ ასეთი ტრალებით; ქვემოთ მეთევზე ვახტანგ რუხაძე ნადავლს ამუშავებს.

ფოტო ი. ჭახნელიძისა.



წაბლი ჭყის სიმდიდრეა

საქართველოს ტყის მასივებში წაბლის ნარგავების გასაფართოებლად ბევრს მუშაობენ ოჩამჩირის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის მეცნიერები. ისინი ეწევიან კვლევას სწრაფადმზარდი ფორმების წაბლის გასამრავლებლად, — განაზოგადებენ და ნერგავენ აზერბაიჯანელ მეტყევეთა გამოცდილებას მსხვილნაყოფიანი ბაღის ფორმების წაბლის გაშენების დარგში. უმჯობესდება წაბლის ნარგავების სანიტარული მდგომარეობა, ამუშავებენ წაბლის მავნებლებთან ბრძოლის ეფექტიან მეთოდებს.

საქართველოში წაბლის კორომებს დაახლოებით 43 ათასი ჰექტარი უკავია. ისინი თავმოყრილია მდინარეების გუმათის, კოდორის, ენგურისა და რიონის აუზებში. ამ ბოლო დროს აფხაზეთშიც გაშენდა წაბლის ახალი კორომები. ერთი ჰექტარი წაბლის კორომი იძლევა ექვს ტონა გემრიელ და მაწიერ ნაყოფს. მაგალითად, წაბლში მეტი ცილებია, ვიდრე კარტოფილში, სტაფილოსა და კომბოსტოში. კალორიულობით წაბლი სჯარბობს ლობიოს, კომბოსტოს, ვაშლსა და მსხალს. წაბლის ნაყოფში ბევრი ვიტამინია. დიდ ღირებულებას წარმოადგენს აგრეთვე მერქანი — მაგარი და მსუბუქი, მასი დამუშავება ადვილია.

მიმდინარეობს სასელექციო მუშაობა პერსპექტიული ნაყოფიანი ფორმების წაბლის დასანერგავად, რომლებიც გამოყვანილია აფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

შენდება...

ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე აშენდა ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ახალი კორპუსები. მშენებლებს ჯერ არ დაეტოვებინათ ობიექტი, რომ მემონტაჟეები უკვე შეუდგნენ მოწყობილობის დადგმასა და გაწყობას, რომელიც მეგობრებმა გამოგზავნეს ჩეხოსლოვაკიიდან. ამონტაჟებენ ქუსლების გადასაჭიმ ნახევარავტომატებს, ზედაპირის დეტალების კიდეების მოსაკეც მანქანებსა და სხვა ტექნიკას.

მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ვალდებულება იკისრეს კომბინატი საექსპლოატაციოდ გადასცენ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის ბოლოს. ახალი სიმძლავრეების ამუშავების შემდეგ საწარმოს მწარმოებლობა გაიზრდება წელიწადში 700 ათასი წყვილი ფეხსაცმლით.

მალე დამთავრდება ბათუმის ტყავის ქარხნის რეკონსტრუქციაც, რის შემდეგ მისი სიმძლავრე თითქმის ერთიასამად გაიზრდება.

წლის დამლევისათვის მწყობრში ჩადგება ორი სამკერვალო ფაბრიკა თელავსა და სოხუმში. პირველი შეკერავს ბავშვის ტანსაცმელს, მეორე — ტანსაცმელს კურორტზე დამსვენებლებისათვის.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკის მშენებლობა. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის დამლევს და ყოველწლიურად გამოუშვებს ორი ათას ტონა ნართს. მაშინ საჭირო აღარ იქნება ნართის შემოზიდვაც. ახლა საქართველოს ცხრა სატრიკოტაჟო ფაბრიკა ნართს იღებს მოსკოვიდან, კიევიდან, ბრიანსკიდან, ნართი მოდიოდა ინგლისიდან, ბელგიიდან და იტალიიდან.

შენდება გამოსაყვანი წარმოება ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში. იგი მწყობრში ჩადგება 1968 წლის დამლევს. საწარმო ყოველწლიურად გამოუშვებს 20 მილიონ მეტრ მზა პროდუქციას.

1969 წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ამიერკავკასიაში უდიდესი ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 28 მილიონ მანეთზე მეტი თანხის პროდუქციას.

სამრეწველო საწარმოთა აგებასთან ერთად ინტენსიურად შენდება ბინები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. საცხოვრებელი სახლები შენდება გორის ბამბეულის კომბინატის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, მახარაძისა და თელავის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკების მუშებისათვის და ცხაკაიას ხალიჩის კომბინატის მუშაკებისათვის. სულ წელს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მუშაკები მიიღებენ დაახლოებით 13 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

ჭარისკაცის დედა

ნ. ჯანელიძის ნახატი

წლის ყოველი დრო ლამაზია საქართველოში, და მაინც განსაკუთრებული მომხიბვლელობით ალის სავსე მისი ბუნება ოქროსფერი შემოდგომისას, როცა პლანტაციებში და ბაღებში მოსავალს იღებენ, როცა მოწნული კალათები მზით დამთვრალი ყურძნის მტევნებით ივსება.

ერთ ასეთ მადლიან დღეს სოფ. ოხურეში რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში დღესასწაული ჰქონდათ. მოსავლის ზეიმი დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნას დაემთხვა. იმ დღით გადასცემდნენ რუსთაველის სახელობის საკოლმეურნეო პრემიებსაც. ლაურეატებს შორის იდგა კოლმეურნეობის ბრიგადირი, ყოფილი ჯარისკაცი ივანე საჯაია. მის მკერდზე საბრძოლო და შრომითს ჯილდოებთან ერთად ლაურეატის ნიშანიც ბრწყინავდა. ივანეს გვერდით იდგა ტანდაბალი მოხუცი ქალი — დედამისი ევგენია საჯაია.

მინდა მოგითხროთ ჯარისკაცის დედაზე — ვაჟკაცური გულის ადამიანზე.

...იდგა მრისხანე 1942 წელი.

იმ შფოთიან, მძიმე დღეებში, როცა ფრონტიდან ცნობებს თითქმის ყოველ ოჯახში ელოდნენ, ყველაზე უფრო სასურველი სტუმარი კოლმეურნეობის ფოსტალიონი იყო. მას მოუთმენლად ელოდა დიდი და პატარა. თუმცა ყველამ იცოდა, რომ საფოსტო ჩანთაში სასიხარულო ამბებთან ერთად შეიძლებოდა სამწუხაროც ყოფილიყო.

ჩვეულებრივად სოფლის გზაზე ფოსტალიონს პირველი ხვდებოდა გამხდარი, ტანდაბალი ქალი — ჯარისკაც ივანე საჯაიას დედა.

— ნუ ღელავ, ძვირფასო, ჯერჯერობით ფოსტა ყოველთვის ვერ მოდის. ხვალ, ალბათ, აუცილებლად იქნება...

როცა ერთი თვის შემდეგ ფოსტალიონმა ჯარისკაცის სამკუთხა ბარათი გადასცა, დედის გული უბედურების მომასწავებელი წინაგრძნობით დაპატარავდა: კონვერტზე უცნობი ხელით იყო ნაწერი. „შვილს, ალბათ რაღაც შეემთხვა!..“ ჰოსპიტალში მისი ვაჟკაცის გვერდით მწოლი ჯარისკაცი სწერდა, რომ ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი ივანე საჯაიასთან ერთად დაიჭრა. მალე გამოვჯანმრთელდებითო, იტყობინებოდა. გადაკვრით იმასაც აცნობებდა, რომ ჰოსპიტალი ალყაშემორტყმულ ნოვოროსიისკთან იმყოფებოდა.

მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი ჯარისკაცის დედას. გამთენიისას სასოფლო საბჭოს მიაკითხა და ნებართვა ითხოვა: „წავალ ჰოსპიტალში, შვილს ვნახავო“. „ფრონტის ხაზამდე მანძილი შორი და ძნელიაო, თანაც ჰოსპიტლის ზუსტი მისამართიც არ იციო“, — უთხრეს, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ხელში ხორაგითა და ძღვენით სავსე ჩანთა დაიჭირა და გზას გაუდგა. სამეის მაგვირობას ჯარისკაცის სამკუთხა წერილი ასრულებდა. გზად დანგრეული სოფლები და ლტოლვილები ხვდებოდა. რამდენჯერმე გზის თხრილებში მოუხდა ჩაწოლა, რომ თავი გადაერჩინა სიკვდილის მთესველი ფაშისტური თვითმფრინავებისაგან.

ქალი საკონტროლო პუნქტთან იდგა, როცა ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცთა ასეული გაატარეს. უცებ მხარზე ავტომატგადაკიდებულ ჯარისკაცთა მწკრივიდან სატვირთო მანქანისაკენ ტანდაბალი თავშეხვეული კაცი გამოქანდა.

— დედა, დედა! — ყვიროდა ივანე საჯაია და ქალს მკერდში იკრავდა.

ლეიტენანტმა ასეული გააჩერა. მებრძოლები დედა-შვილს შემოეხვივნენ და ბედნიერი შეხვედრა ძიუღოცეს. თვალებში შეჰყურებდა ჩაკონებულ შვილს ევგენია საჯაია. მაგრამ აი გაისმა ბრძანება და ასეულმა გზა განაგრძო. დედას ნება დართეს მცირე მანძილზე გაეცილებინა შვილი.

მოხდა მოულოდნელი რამ: გერმანელთა მექანიზებულმა ნაწილებმა ფრონტის ამ უბანზე შეტევა წამოიწყეს. ასეული იძულებული გახდა მარშიდან თავდაცვაზე გადასულიყო და საცეცხლე პოზიცია დაეკავებინა. ივანე შიშით შეჰყურებდა დედას: პოზიციის მომზადება მტრის გახუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ მიმდინარეობდა. ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. საბჭოთა ჯარისკაცებმა აიძულეს მოწინააღმდეგე უკან დაეხია. მაგრამ ჩვენი ზურგისაკენ მიმავალი გზა მტერმა მაინც შეინარჩუნა.

თითქმის სამ კვირას იმყოფებოდა სანგარში შვილს გვერდით ევგენია საჯაია. ჯარისკაცებთან ერთად მონაწილეობდა მოწინააღმდეგის შეტევების მოგერიებაში, ტყვიამფრქვევის ლენტებსა და ავტომატის დისკოებს ტენიდა. როცა ბრძოლა მიწყნარდებოდა, ჯარისკაცებს თეთრეულს ურეცხავდა, ტანსაცმელს უკერებდა. აფხაზეთში, სახლში მხოლოდ ფაშისტების უკუგდების შემდეგ დაბრუნდა.

ოჩამჩირის რაიონში მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში მაშინ თითქმის მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. დადიოდა ბრიგადიდან ბრიგადაში ევგენია საჯაია და ყველას უყვებოდა შვილთან შეხვედრის ამბავს, თუ როგორ მამაცურად იბრძოდნენ ივანე და მისი ამხანაგები ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ...

ს. კოროტკოვი,

ჟურნალი „ოტჩიზნა“, მაისი, 1967 წ. № 5.

ზურაბ გემაზაშვილი

მეფე მგელთავა

ნაწყვეტი მოთხრობიდან

„...უყვარდათ, სძულდათ, — იბრძოდნენ. ესენი მაინც სულ უბედურნი არიან. სამშობლოს მიწაც არ ღირსებიათ, თორემ სიკვდილი არც ისეთი საზარელია. მოკვდება ადამიანი, აი ასე ჩაფლავენ მიწაში, ვინც უნდა იყოს. მიწაშიც სიცოცხლეა. დედამიწა ხომ ყოველი სიცოცხლის დასაბამი, სათავეა... ასე რომ ადამიანი მაინც სიცოცხლით არის გარშემორტყმული“.

დილის მზე მხიარულად, გულუხვად აფრქვევდა ირგვლივ სხივებს. მეფე ბეჭებით მიეყრდნო კედელს. ეამა ხავსმოდებული, დრომოჭმული კედლის სიგრილე, გარდასულ საუკუნეთა სიცივე... ზემოდან კენჭი ჩამოვარდა და ჩქამი გაიღო. უნებურად აიხედა. საიდანღაც შავარდენი მოფრენილიყო და ბალახმოდებულ, ჩამოშლილ კედელზე ჩამომჯდარიყო. ეჭყობოდა ნადირობიდან ბრუნდებოდა. ისეთი გოროზი იერი ედო, გეგონებოდა, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო. თვალს არ ამორებდა ვახტანგი შავარდენს. მოსწონდა მისი ბუნებრივი ამპარტავნობა, გულზვაობა. „ჭეშმარიტად ლაღი არსებაა. არც ხვალინდელი დღე აწუხებს და არც მომავლის ბედიღბალი. ნეტავ შენ, ბედი მაქვსო, შენ უნდა დაიკვეხო“.

შავარდენმა უცებ შეამჩნია ადამიანი რომ უთვალთვალებდა და აფრენა დააპირა, ერთ ალაგას შეხტა. შემდეგ თითქოს თავისი სიმხდალის შერცხვაო, თავი დაიკვა. ყვითელი თვალებით გულდაგულ შეათვალიერა, ვითომ მიუხვდა ნააზრევს და ზანტად, ისეთი იერით აფრინდა, თითქოს ამბობდა: „შენაც ინატრე რამეო!“ ვახტანგს გაეღიმა, — „ფრთოსანსაც ჩემი ბედი შეშურდა“, გაიფიქრა. ნადირამ ცალი თვალი დაუდევრად გააყოლა აფრენილ შავარდენს, საფლავის ლოდთან მივიდა, თათი ასწია და ჩამოწუწა.

ვახტანგი წამოდგა. „წადი და გაიგე ამ სოფლის ავან-ჩავანი“.

ძაღლს დაუბატანა და ბედაურს მოევლო. მინდვრის ბოლოში მისი ამალა გამოჩნდა და ცხენიც იქით მიაგდო მეფემ. ბაზიერთუხუცესი მიეახლა, თეთრი კაპუტი მიართვა. ჯაჭვის თათმანიანი ხელი გაუწოდა მეფემ. „არაო“, ეუბნება ბაზიერთუხუცესი, — „ჯაჭვის რგოლებში გაიხლართება ჭანგებიო“. თათმანი გაახდევინა და ცერზე ტყავი ჩამოაცვა მეფეს.

უფრო გახშირდა ტევრი. იმატა მარეკათა ხმაურმა და მწევარ-მეძებართა ღაღადმა. არტავიზი რაღაცას ყვებოდა სიცილით. ძღივს არჩევდა მის ნალაპარაკევს.

— დაგვიწყებიათ ნადირობა... აგერ მხეცთა კვალის უბადლო ოსტატმა სპასპეტმა ერთი ტახის მეტი ჯერ ვერაფერი მოინადირა..

— ზოგს ეგეც არა აქვს — თქვა ჯუანშერ სპასპეტმა ცალყბად.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 13, 14, 1967 წ.



გამოკვლევის თემა — თურქი პოეტი

მ ახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ლატავრა სკანკოჩაშვილი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სულ ხუთიოდე წელია, რაც ლატავრა კოლმეურნეობაში მუშაობს. ამ დროის განმავლობაში მან სახელი მოიხვეჭა ერთ-ერთი მოწინავე მეჩაიესი. 1966 წელს 0,6 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა 7.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.300 კილოგრამისა. ლატავრას ვალდებულება აქვს მიმდინარე წელს 8 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფოს.

სურათზე: ლატავრა სკანკოჩაშვილი.

„ხალხის პოეტს“ უწოდებენ ახალი თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელს მეჰმედ ემინს (1869-1944 წლები). მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მწერალმა თურქეთის უბრალო მშრომელთა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

მეჰმედ ემინის შემოქმედების ძირითადი მოტივები მონოგრაფიულად გამოიკვლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის მასწავლებელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. გოცირიძემ. მან შეისწავლა მწერლის შემოქმედებითი გზა, გაარჩია მისი ლექსების კრებულები, პოემა „ანატოლია“, რომელიც, შრომის ავტორის აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა სოციალურ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის. მეჰმედ ემინის ნაწარმოებთა გმირები არიან მიწათმოქმედები, მეშახტეები, მენავეები, ქვრივ-ობლები, ომის ინვალიდები, მჭედლები, მეწისქვილეები, მათხოვრები, უპატრონო ბავშვები.

ემინმა დაწერა მთელი რიგი ლექსები, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას ბრძოლისათვის რეაქციის წინააღმდეგ. თურქ პოეტს ეკუთვნის კრებული „მუსტაფა ქემალი“, რომელშიც შევიდა ნაწარმოებები, რომლებიც უმღერიან განმათავისუფლებელ ბრძოლას.

„ემინის დამსახურება ის არის, — წერს ი. გოცირიძე, — რომ მისი პოეზია მახლობელია ყველა თურქისათვის, უბრალო ხალხური ენაზე დაწერილი მისი ლექსები გამოხატავენ თურქი ხალხის ჭირსა და ლხინს“.

სპეციალისტთა აზრით, ი. გოცირიძის ნაშრომი „მეჰმედ ემინის შემოქმედების ძირითადი მოტივები“ პირველი საფუძვლიანი შრომაა ჩვენს ქვეყანაში პოეტის შემოქმედებაზე.

მეფემ ცხენს ქუსლი ჰკრა, ოდნავ წინ წააგდო ბარდნარისაკენ, რომლის ნოტიო ძირებში გვიმრას გაეღვა ფესვი. წამით შეყოვნდა, თვალით მონახა გასასვლელი, და დაიბრდღვიალა კიდეც ფრინველმა.

კრიახით აფრინდა მამალი ხოხობი.

წიოკობით გაიფანტნენ ხოხბის ვარიკები.

კაპუტები მიუსია მეფემ მზეზე ათასფრად ალაპლაპებულ მამალს. ნადირობას მონატრებულს გულმა ვეღარ მოუთმინა, ელვის სისწრაფით მოარგო ისარი მშვილდს, და დაიზრიალა კიდეც ლარმა. ნიმინო და ისარი ერთად ეძგერა ფრინველს. ვეღარ ვაუძლო მოღვინთილი ხოხბის სიმძიმეს თეთრმა მიმინომ, ფრთების გამალებული ფათქუნით დაჰყვა და სადღაც ჩაეშვა ტყეში. უმალვე მიჰყვნენ ბაზიერნი და მარეენი მეფის ნანადირევს. მძიმე ხაბიჯით გაეშურა ვახტანგიც ამალითურთ.

— ერთი უცნაური, ვიტყოდი, ვაჟკაცური თვისება აქვს ამ მამალ ხოხობს. — ეუბნება მეფეს არტავაზი.

— მაინც რა, არტავაზ?

— სულ იმის ცდაშია, მონადირისა თუ ფრთოსანი მტრის თვალი თავისკენ მიიპყროს. თვითონ ცალ მხარეს აფრინდება, ხოლო მისი ბუდობა მეორე მხარეს გაეშლება ხოლმე. თითქოს წინდაწინ აფრთხილებსო...

— შენ რას გეტყოდა, გული? — სიყრმის მეგობარს ხუმრობით სიტყვას აწყვეტინებს ჯუანშერ სპასპეტი.

— მე აფრენაზე მოგახსენებ, სპასპეტო.

— აფრენა ყოველ კაცს ეხერხება, ერისთავო!

მეფეს გაეღიმა თავისი ბავშვობის მეგობართა ძველებურ კალმასობაზე. დიდი ხანია ასეთი რამეებისათვის აღარ ეცალათ სამშობლოსათვის დამაშვრალ ვაჟკაცებს.

რაღაც ყაყანი გაისმა, და ბუჩქებიდან დაფეთებული მარეკვები და ბაზიერები ჩინჩხვრის ლაწალუწით გამოცვივდნენ. მეფისა და მისი ამალის დანახვაზე მუხლებზე დაეცნენ. რაღაცას ღაღვლებდნენ ყველანი ერთხმად. მწევარ-მეძებრებიც მოგროვდნენ. უცნაურად აცემინებდნენ ცხვირს პირუტყვნი, თათებს გამეტებით ისვამდნენ ცხვირზე.

— ამბავი? — იკითხა მეფემ:

ბაზიერთუხუცესი მიეახლა, აღელვებულმა თაყვანი სცა მეფეს.

— მიმინო ხვრში ჩაიტანა ხოხბის სიმძიმემ, მეფეო, მარეენი, ბაზიერნი და მონენი მიჰყვნენ... მაგრამ ღრმულებიდან ისეთი ოხშივარი და სიმყრალე ამოდის, რომ კაცი სიახლოვეს ვერ გაეკარება... ირგვლივ ყველაფერს ნაცართუთჟი გადასდებია... ვიღაცამ დაიყვირა, ჯოჯოხეთის კარიბჭეაო, ცოდვილნი იხარშებიან და ოხშივარი ამოდისო... მეტი არც უნდოდათ ისედაც დამფრთხალ მონენს. სულ კისრისტეხით გამოცვივდნენ უკან...

ვახტანგმა წარბი შეჰკრა. თვალით მოძებნა „გორგასლის ყური“ მატყთა. ნიავივით უხმოდ და სწრაფად მაშინვე მის წინ გაჩნდა სხარტი ვაჟკაცი, — ყველაფერს მართალს მოგახსენებს ბაზიერთუხუცესი სოსთენიო, — დაამოწმა მანაც.

ჩამოქვეითდა მეფე, მის მაგალითს მიბაძა ამალამ. ფეხდაფეხ გაჰყვა მატყთასა და ბაზიერთუხუცესის მიერ მითითებულ გზას. ტყე საგრძნობლად გამეჩხერდა, აქაიქ ვეებერთელა, ხავსმოდებული, სანახევროდ ხმელ ნეშომპალაში ჩაფლული ლოდები გაბმულიყო. არცთუ ღრმა ხვრს ოდნავ დაცცრებული ფერდები ჩასდევდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო მატულობდა სიმყრალე. შემდეგ იმძაფრა, მთლად გაჟღინთა არე-მარე. მზეზე აქოთებული ლაყე კვერცხის სუნს უფრო წააგავდა. მონადირეებს ადევნებულმა მწევარ-მეძებრებმა ისევ დაიწყეს ფრუტუნ-ხრიკინი. ხვრის პირას შესდგა მეფე, დაკვირვებით შეათვალიერა იქაურობა. ცხელი წყარო მორუხრუხებდა ირგვლივ. ზოგი კლდის ნაპრალებიდან გადმოჩქეფდა, ზოგს პირდაპირ მიწიდან ამოეხეთქა, ზოგს ჩამოეწითლებინა ლოდები, ზოგს კი ბისტი-ვით გადაეკრა ქვებისათვის თეთრი ლორწო. წყაროები ხვრის ძირში ჩამომდინარე პატარა ღელეში იყრიდნენ თავს და ქვევით მიედინებოდნენ. შესართავთან, მოზრდილ მორევში ტრიალებდნენ თითქმის გაპუტული ხოხობი და მიმინო.

ვახტანგი მდუმარედ, გულდასმით ათვალიერებდა ყველაფერს, არც ერთი წვრილმანი არ ეპარებოდა მის არწივულ მზერას...

მარეკებმა, ბაზიერებმა, მხედრებმა, მონებმა ჯერ ჩუმად, ცოტა ხნის შემდეგ მხიარულად მორთეს ყაყანი, ჯუანშერ სპასპეტმა პატარა ქვას გაჰკრა ფეხის წვერი და მდინარეში ჩააგდო.

— ასეთი ცხელი წყაროები თრაკიაში, ადრიანოპოლის მიდამოებში მინახავს ბევრი, — ეუბნება მეფეს, — მაკედონიაშიც, ქალაქ თესალონიკთან, იქ ორი ტბაა...

— თრაკია და მაკედონია რათ გნებავთ, აგერ კახეთშიც არის, სპასპეტო, — საუბარში ჩაერია გრიგოლ ერისთავიც, ოღონდ წყლის მაგიერ იქ ტლაპო ამოთუხთუხებს დედამიწიდან.

უხმოდ უგდებდა ყურს მხედართმთავარებს გორგასალი. მონებმა ჭიაოები გამოსჭრეს, ნაპირთან მოითრიეს მორევის პირზე მოგდებული ბურტყლგაცლილი ხოხობი და მიმინო.

— ყველაფერი ულაზათოა სამოსშემოძარცული, — ჩაიბურტყუნა არტავაზ ერისთავმა და ჩუმად, ჭაბუკური ცუღლუტი ღიმილით ცერად დაუმატა — დედაკაცთა გარდა...

უცებ შეხედა მეფემ არტავაზს და გაიღიმა. ეტყობოდა მისმა ბოლო სიტყვებმა რაღაც ფიქრისთვის დაანებებინეს თავი. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცერად ხმამაღალი, გაკვირვების წამოძახილი გაისმა.

— ეე, კაცო! ესა მდუღარე კი არა, თბილი ყოფილა!

უცნაურად გაუბრწყინდა ვახტანგ გორგასლს თვალები, სახეზე თავმობმული ფიქრის შვების ნათელი გადაეფინა, იქით წყაროსთან დაცუცქულ, აბჯარასხმულ, ბეჭებგანიერ ჩასკვნილ მეომარს გახედა, რომელიც გუბეში ურევდა ხელს, შემდეგ მხლებელთ მოავლო მზერა, თვალი თვალში გაუყარა ჯუანშერ სპასპეტს:

— დიახ, თბილი... ასეც ყოფილა, თბილი... — ისე გააქნია ხელი, ცხენის მოგვრის ბრძანებასას როგორც იცოდა. უსიტყვოდ მოართვეს ჯაფიერი. ქვეის სისწრაფით მოევლო გორგასალი ბედაურს.

— ერისთავნო და სპასპეტო, ამ მიდამოებში, ზედა ციხის ირგვლივ, გაშენდება ქალაქი, — დედაქალაქი სრულიად საქართველოსი... თბილისი!

და როგორც ფიცხელი ომის დროს რაიმე მტკიცე გადაწყვეტილებისას იცოდა ხოლმე გორგასალმა, მარჯვენა ხელი ასწია მაღლა.

...და მიხვდა ჯუანშერ სპასპეტი — დიდი ხნის ნაფიქრალს და ბეჭედდასმულ სიტყვას რომ ამბობდა მეფე.

ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ მარჯვენნი და ერისთავნი, თუ რა ბრძანა მეფემ, რომ ღიმილით დაყოლა გორგასალმა:

— მზარეულთუხუცეს უბრძანეთ, მამლის ჩახოხბილი იმ ვაჟკაცს მიართვან, რომელსაც აქაფებულ გუბეში ხელის ჩასაყოფად ეყო გამბედაობა!

საქართველოს ხმა

№ 15, აგვისტო, 1967 წ.

ნოვრები ნოვარი

სვეტიცხოველი

საქართველოს ძველი სატახტო ქალაქი მცხეთა მდიდარია თავისი ისტორიული ძეგლებით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები ნათლად მეტყველებს უსხოვარი დროიდან მცხეთის დიდ კულტურაზე — მაღალ სამეურნეო დონეზე, ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების დაწინაურებაზე.

დღესაც ატყვევებს მნახველს მცხეთის სახელგანთქმული არქიტექტურული ძეგლები: ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო.

შუა საუკუნეების საქართველოს დიდებულ არქიტექტურულ ძეგლთა შორის მცხეთის სვეტიცხოველი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს.

სახელწოდება „სვეტიცხოველი“ ქართველი ხალხის გაქრისტიანებასთან არის რამდენადმე დაკავშირებული. გადმოცემით მეოთხე საუკუნეში წმინდა ნინომ სწორედ აქ, მცხეთის შუაგულში ააგო ხისაგან პირველი ქრისტიანული ტაძარი; მეხუთე საუკუნეს შუა წლებში საქართველოს მეფემ ვახტანგ გორგასალმა ხის ნაცვლად ქვისაგან ააშენა ტაძარი, რომლის ფრაგმენტები გამოუყენებიათ ამჟამად არსებული ტაძრის აგებისას.

1010 წლის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი შეუდგა ახალი ტაძრის მშენებლობას, რომელიც 1029 წელს დასრულდა. სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აგება დაკავშირებულია კონსტანტინე არსუკიძის სახელთან, რომლისთვისაც გადმოცემით მარჯვენა მოუჭრიათ იმისათვის, რომ სხვაგან არ აეგო მსგავსი ტაძარი. ხალხმა თქმულებაში შეინახა კონსტანტინე არსუკიძის სახე.

სვეტიცხოვლის ერთ კედელზე გამოკვეთილი არსუკიძის მარჯვენა მნახველს მოაგონებს ხუროთმოძღვრის უკუღმართ ბედს. აღნიშნული გადმოცემა სვეტიცხოვლის შესახებ დაუდო საფუძვლად კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ისტორიულ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“.

სვეტიცხოვლის გრანდიოზულობა სავსებით შეესაბამება XI საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ სიმძლავრეს.

სვეტიცხოველი წაგრძელებული ჯვრის ნაგებობაა. ტაძრის ოთხ ცალკე მდგომ ბურჯზე წამომართულია გუმბათი. მიუხედავად ტაძრის წაგრძელებულობისა, აღმშენებლებს ისე დაუმუშავებიათ შიგნითა ნაწილი, რომ ეს ასიმეტრია შეუმჩნეველი რჩება. დიდი გუმბათის თექვსმეტი სარკმელი უხვად ანათებს ტაძრის შიგა ფრესკულ მოხატულობას.

ტაძრის კომპოზიციაში ძირითადი (ცენტრალური) ადგილი უჭირავს გუმბათს, რომლისგანაც იშლება თვით ნაგებობა (ტაძრის მკლავები). ტაძრის თითოეული ფასადი დასრულებული სახისაა, მაგრამ ამავე დროს ყველა მათგანი ორგანულად არის გაერთიანებული ერთ კომპოზიციაში.

თაღებით შემკული გრძივი ფასადები, მიუხედავად ცალკეული საგნების სხვადასხვაობისა, ხასიათდება საერთო წონასწორობით. ტაძრის მორთულობაში შემკულობაში სხვადასხვა დროის აღდგენის ნაშთები გამოირჩევა, თუმცა ძირითადად რელიეფები XI საუკუნის ტაძარს მიეკუთვნება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია დასავლეთის ფასადის მდიდრული მაღალოსტატური მოკაზმულობა.

სვეტიცხოველმა ჩვენამდე მოაღწია ცოტად თუ ბევრად სახეშეცვლილმა. მომხვდური მტერი ქვეყნის დაპყრობა-განადგურებასთან, ხალხის დატყვევებასა და შეურაცხყოფასთან ერთად, ყოველმხრივ აზიანებდა მატერიალური კულტურის ძეგლებს. ვერც სვეტიცხოველი ასცდა ასეთ ბედს. მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს და მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს თემურლენგი რვაჯერ შემოესია საქართველოს და ააწიოკა იგი. თემურლენგის ურდოებმა ერთერთი თავიანთი შემოსევის დროს დაანგრიეს სვეტიცხოველი, მაგრამ XV საუკუნის პირველ მესამედში იგი საფუძვლიანად შეაკეთა საქართველოს მეფემ ალექსანდრე პირველმა, რომლის ჰოღვაწეობა საერთოდ აღდგენითი საქმიანობით აღინიშნა.

XVII საუკუნეში როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით აღდგენილ იქნა გუმბათის ზემო ნაწილი.


როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტაძრის შიგა კედლები ფრესკებით იყო დაფარული, მაგრამ 1830 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის კავკასიაში ჩამოსვლასთან დაკავშირებით სამღვდელოების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მოხატულობა შეათეთრეს და ტაძარს „საკადრისი ელფერი“ მიაკერეს.

სვეტიცხოველში შენახულია მრავალრიცხოვანი სამაროვანი სამეფო გვარის — ბაგრატიონების ჩამომავლობისა. აქ არის ერეკლე მეორისა და გიორგი XIII საფლავები. გადმოცემით, სწორედ სვეტიცხოველშია დაკრძალული საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი.

მიუხედავად მრავალი ცვლილებებისა, თავისი გრანდიოზულობითა და მაღალსტატური ხუროთმოძღვრებით სვეტიცხოველი დღესაც განუმეორებელ, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

სვეტიცხოველი, აღმართული საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთაში, დგას, როგორც უტყუვი მოწმე მრავალჭირნახულის საქართველოს გარდასული დღეებისა და დღევანდელ თაობას მოაგონებს ძველი საქართველოს ისტორიას, მოუთხრობს ქართველ ხუროთმოძღვართა დიდ გემოვნებასა და მაღალ ოსტატობაზე.

რ. მეტრეველი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, „სწავლულთა დარბაზის“ წევრი.



ქართული ბაზარზე

160-ზე მეტი სახეობის ნაწარმს უშვებენ საექსპორტოდ საქართველოს სამრეწველო საწარმოები. მაღალი ხარისხი — აი რა უწსნის ფართო გზას ჩვენს პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე.


მიწოდებათა გეოგრაფია მრავალფეროვანია. ავსტრიაში, მაგალითად, თავისი პროდუქცია გაგზავნა ამას წინათ თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანამ. ამ საწარმოს შემკვეთები ჰყავს მსოფლიოს თითქმის 50 ქვეყანაში. საექსპორტო ხელსაწყოებს შორის არის უნიკალური ხელსაწყოები, რომლებიც მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება. თბილისის ქარხანა „ელექტრონავტომატმა“ იტალიისათვის დაამზადა უახლესი მექანიზმები, რომლებიც თავისი უფროსი „თანამოძმეებისაგან“ განსხვავდებიან საიმედოობითა და ხანგამძლეობით. ათობით ქვეყანას, სადაც თავის პროდუქციას გზავნის თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, მიემატა კიდევ ერთი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. შესადუღებელი მოწყობილობა იგზავნება ბელგიაში, ხოლო ელექტრომანქანების გამძლეობრებლები — იაპონიაში.

საზღვარგარეთელ მყიდველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის წყალქვეშაფრთიანი კატარღები. ახალგაზრდა საწარმომ, რომელიც თავისი არსებობის სულ ათიოდე წელს ითვლის, დაიწყო თავისი პროდუქციის გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კუბაში და იტალიაში.

როცა რესპუბლიკის მრეწველობის ექსპორტზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ქართული ფეროშენადნობებიც. საბჭოთა კავშირიდან საექსპორტოდ გაგზავნილი შენადნობების დაახლოებით ნახევარს იძლევა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. მისი პროდუქცია მიდის თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მალე ზესტაფონელ მეტალურგებს საშუალება მიეცემათ გააფართოონ ექსპორტის გეოგრაფია. ეს შესაძლებელი გახდება საწარმოს გენერალური რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ. ქარხნის ყველა საამქროში იდგმება დახურული ელექტროღუმელები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შენადნობთა ხარისხს.

კარგი სახელი მოიხვეჭა მსოფლიო ბაზარზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციამაც. საწარმო საზღვარგარეთელ შემკვეთებს უგზავნის მილებს, ფოლადის ფურცლებს, ნაგლინსა და სხვა ნაწარმს. მათ კარგად იცნობენ ავსტრიაში, ავღანეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სირიაში, ტუნისში. ღონისძიებანი, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით არის დასახული ფოლადის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კიდევ უფრო აამაღლებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარკის ღირსებას.

ხელსაწყოთსაშენებელი, ელექტროტექნიკური და მანქანათსაშენებელი მრეწველობის სწრაფი განვითარება, საშუალებას აძლევს ჩვენს რესპუბლიკას მკვეთრად გაზარდოს ექსპორტი ხუთწლედის წლებში. საზღვარგარეთ უკვე იგზავნება ქართული ავტომობილები, მცურავი მიწისსაწოვი დანადგარები, ელექტროძრავები, ელექტროგამშვებები და ელექტროაპარატურა. წელს საქართველო თავის პროდუქციას გაუგზავნის 60-ზე მეტ ქვეყანას.



საღამო ზღვაზე.

მანქანები კრეფენ

ბაბრის მეცნიერულობის საბჭოთა მეურნეობის დაფნის შპალერულ პლანტაციებში გამოსცადეს ახალი დაფნის საკრეფი მანქანა. იგი შექმნა სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ.

ოპერაცია „მშრალ“ გულზე

პირველად საქართველოს სამედიცინო პრაქტიკაში

ექიმებმა დიაგნოზი დასვეს: ნანა-ტ-ს ყველაზე მძიმე სახეობის გულის თანდაყოლილი მანკი სჭირს. გოგონას სიკვდილი ემუქრებოდა.

როცა ნანა ექვსი წლისა გახდა, ავადმყოფობა გაუმწვავდა, ბავშვს აღარ შეეძლო სიარული, სული ეხუთებოდა. გულის არასწორი მუშაობის გამო წარმოიშვა სისხლის მიმოქცევის შეფერხება. გამოსავალი ერთი იყო — ოპერაცია.

...ამ ოპერაციისათვის თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პირველი ქირურგიული კათედრის კოლექტივი რამდენიმე წელს ემზადებოდა. მედიკებმა ლენინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნ. ანთელავას ხელმძღვანელობით ექსპერიმენტულად დაამუშავეს ხელოვნური სისხლის მიმოქცევის მეთოდი. ისინი ემზადებოდნენ პირველად საქართველოს მედიცინის ისტორიაში ოპერაცია გაეკეთებინათ „მშრალ“ სისხლდაცლილ გულზე.

სულ ბოლო დრომდე ქირურგები სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებოდნენ: მათ შეეძლოთ ავადმყოფის გული გაეჩერებინათ, გამოერთოთ სულ დიდი 3-5 წუთით, რისთვისაც იყენებდნენ ჰიპოთერმიას — გაცივებას. მხოლოდ ეს დრო ჰქონდა მარაგში ქირურგს უშუალოდ გულის ოპერაციისათვის. სხვანაირად იღუპებოდა თავის ტვინის ჭერქის უანგბადმოკლებული უჯრედები. ისეთი მანკის დროს კი, როგორიც პატარა ნანას ჰქონდა, ეს დრო არ კმაროდა ოპერაციისათვის.

საბჭოთა აპარატს „ხელოვნური გული-ფილტვები“ გამოყენებამ ჰიპოთერმიასთან შეხამებით ქართველ მედიკებს მისცა დროის ის ძვირფასი მარაგი, რომელიც საჭირო იყო „მშრალი“ გულის ოპერაციისათვის.

როცა ნანა კლინიკაში მიიყვანეს, პირველ რიგში საჭირო იყო ადრე დადგენილი დიაგნოზის სიზუსტის დადასტურება. ოპერაციის წარმატებას ხომ ბევრად განსაზღვრავს მანკის ტიპისა და მისი ადგილმდებარეობის გამოკვლევა. ამისათვის მკურნალ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ზ. რევიშვილს მოუხდა რთული გამოკვლევის შესრულება. სპეციალური ზონდით იგი შეიჭრა გულის შიგნით და გამოარკვია გულისშიდა წნევა, იპოვა დეფექტის ადგილი გულში.

მშრალ გულზე ოპერაციის შედეგი ერთნაირად დამოკიდებულია ქირურგებზე, თერაპევტებზე, კარდიოლოგებზე, სტომატოლოგებზე, ინჟინრებზე, კლინიკის მთელ კოლექტივზე.

...ყველაფერი მზად არის ოპერაციისათვის. საოპერაციო მაგიდასთან შეიკრიბნენ ქირურგები, ვ. ფიფია, ე. თოთაძე, გ. ჭუმბურიძე, ანესტეზიოლოგები ნ. კუკუშვილი, ს. ცხოვრებოვი, ლ. მარსაგიშვილი, ბიოქიმიკოსი გ. შონია, პემატოლოგი ი. ტუბოლი, თერაპევტი რ. ღამბაშიძე, ინჟინრები ე. ამჩესლავსკი, დ. ბრეგაძე, ა. სიპალო, ე. აგაჯანოვი.

ნარკოზის მიცემიდან 15 წუთის შემდეგ გოგონას დაეძინა. 20 ექიმი აპარატების დახმარებით მთელი ოპერაციის განმავლობაში განუწყვეტლივ ადევნებს თვალ-ყურს გულის მუშაობას, აღრიცხავს ტვინის ბიოდენების მდგომარეობას, სხვა სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი ორგანოების მდგომარეობას, აკეთებს სხვადასხვა ანალიზს.

და აი გოგონას გული გააჩერეს... ამავე დროს იქვე გვერდით ამუშავდა აპარატის ხელოვნური გული. იგი „სუნთქავს“ ნანას მაგივრად 45 წუთის განმავლობაში. პროფესორმა ვ. ფიფიამ გახსნა გული. რამდენიმე ზუსტი მოძრაობა და იგი მოყვანილია ნორმალურ მდგომარეობაში.

ოპერაციის პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა. მაგრამ ქირურგი არ დამშვიდებულა, თუმცა აპარატი გამორთეს და ავადმყოფი გადაყვანილია ნორმალურ სისხლის მიმოქცევაზე. უცბად გოგონას გულმა დაიწყო არათანაბარი, ქაოტური შეკუმშვა... მას დაეხმარა ელექტროდენი, მან აიძულა გული ნორმალურად ემუშავა.

მაგრამ ბრძოლა ნანას სიცოცხლისათვის ჯერ არ დამთავრებულა. კიდევ ერთ დღე-ღამეს იქნება იგი მართულ ხელოვნურ სუნთქვაზე, კიდევ ერთ დღე-ღამეს მისი სხეულის ტემპერატურა გაციებული იქნება, კიდევ ერთ დღე-ღამეს მრავალი აპარატი მოაწესრიგებს გულის რიტმს, სუნთქვას, თირკმლის ფუნქციას, სხეულის ტემპერატურას, ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანს ოპერაციით დარღვეული ორგანოების მუშაობას. კიდევ დიდხანს გაატარებენ ექიმები უძილო ღამეებს...

გავიდა ორი კვირა. ახლა ეჭვი აღარ არის, ნანა იცოცხლებს. გოგონა მოძრაობს, თამაშობს. მას მოუვიდა მადა.

— ოპერაციამ „მშრალ“ გულზე, — ამბობს აკადემიკოსი ნ. ანთელავა, — — წარმატებით ჩაიარა. ეს ცხადყოფს, რომ ქირურგიული ჩარევით ასეთი ოპერაციები მალე გახდება ქართველ ქირურგთა ჩვეულებრივი იარაღი გულის მანკებთან ბრძოლაში.

ლ. ჟიფშიძე.

სპორტული მიმოხილვა

◆ სპარტაკიადის ფინიში
◆ ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა დამთავრდა. როგორც მრავალრიცხოვანმა უცხოელმა სპორტულმა მოღვაწემ თუ სპეციალისტმა განაცხადა, ეს იყო სილამაზისა და ძალის გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა ოლიმპიური სულისკვეთება.

წარმატებით გამოვიდნენ ამ უდიდეს ასპარეზობაში **საქართველოს წარმომავლობილები**, რომლებმაც საერთო ჩათვლაში გუნდური მეხუთე ადგილი დაიკავეს, რაც რესპუბლიკებს შორის ფაქტიურად მესამე ადგილს ნიშნავს, რსფსრ-ისა და უკრაინის შემდეგ.

ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. მათ სპარტაკიადების მთელი ისტორიის მანძილზე პირველად გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ქართველი ფალავნები წარმატებით გამოვიდნენ თითქმის ყველა წონითს კატეგორიაში, ხოლო ქვემძიმე წონაში **შოთა ლომიძე** ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონმა **გ. სალპარაძემ** და **ზ. ბერიაშვილმა**, ბრინჯაოსი — **ა. ცხოვრებოვმა** და **ს. ქარსაულიძემ**.

ორი ოქროს მედლის მფლობელნი გახდნენ კლასიკური სტილით მოჭიდავენი. თავი ისახელეს მჭატე და ქვემსუბუქი წონის ათლეტებმა **ოთარ ეგაძემ** და **რომან რურუამ**, ვერცხლის მედალი ხვდა **ო. გლიბაძეს**. გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენები მეოთხე იყვნენ.

სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს გამოირთა ჩოგბურთელ ერთეულთა ფინალები. მრავალი მაყურებელი დაესწრო **ალექსანდრე მეტრეველისა** და ვიაჩესლავ ეგოროვის (მოსკოვი) მატჩს. გუნდურ ასპარეზობაში ეგოროვმა დაამარცხა მეტრეველი, რომელიც ის-ის იყო საზღვარგარეთ ხანგრძლივი ტურნეს შემდეგ დაბრუნდა და პირდაპირ თვითმფრინავიდან კორტებზე გადმართა. ზოგიერთმა სპეციალისტმა იჩქარა და ისიც კი თქვა, მეტრეველის ჩოგბურთის ერა დამთავრდაო, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. **ა. მეტრეველმა** ბრწყინვალედ ითამაშა და კვლავ დაამტკიცა, რომ იგი № 1 ჩოგბურთელია. 6:3, 6:0, 6:4 — ასეთია მეტრეველ-ეგოროვის მატჩის შედეგი, რომელმაც ქართველ სტუდენტს ოქროს მედალი მოუტანა. მეტრეველმა კიდევ ერთი ოქრო მიიღო **ს. ლიხაჩოვთან** ერთად წყვილთა შეხვედრაში.

წარმატებით იბრძოდნენ **რ. აბუაშვილი**, **ე. ივანოვა**, **თ. კაკულია**. მათ დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ჩოგბურთელთა გუნდის მიერ მეორე საპრიზო ადგილის მოპოვებაში.

ველოსპორტში კვლავ კონკურენციის გარეშე იყო **ომარ ფხაკაძე**. მან ისეთი უპირატესობით მოიგო ოქროს მედალი სპრინტში, რომ სეროზული მეტოქეც კი არა ჰყოლია, თანაც მისთვის უჩვეულო დისტანციაზე — გიტი 1.000 მეტრზე — ვერცხლის მფლობელი გახდა. წყალში მხტომელთა შორის 3-მეტრიან ტრამპლინზე ყველას აჯობა თბილისელმა **გორის პოლულიახმა**. ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო **რ. ბერიაშვილი** ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის.

მძლეოსნობაში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა **ლ. ივლევამ**, სოხუმელმა მხტომელმა **სანეევამ**. პირველი „ოქროს“ მფლობელი გახდა 80 მეტრზე თარჯრბენში, მეორე კი „ვერცხლისა“ — სიგრძეზე ხტომაში. გაგვახარეს ვაჟთა გუნდის წევრებმა თ. ბახტაძემ, ი. კოზელსკიმ, ზ. სარქისიანმა, ა. ანდრეევმა. მათ ვერცხლის მედლები მოიპოვეს ესტაფეტაში 4X400 მეტრზე.

გუნდური ჩათვლის საბოლოო შედეგები რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: 1. მოსკოვი — 594 ქულა; 2. რსფსრ — 576; 3. უკრაინა — 561; 4. ლენინგრადი — 479; 5. საქართველო — 428; 6. გელორუსია — 409; 7. ყაზახეთი — 396; 8. ლატვია — 369; 9. ლიტვა — 357; 10. უზბეკეთი — 345; 11. აზერბაიჯანი — 325; 12. ესტონეთი — 323; 13. სომხეთი — 251; 14. მოლდავეთი — 193; 15. ყირგიზეთი — 191; 16. თურქმენეთი — 138; 17. ტაჯიკეთი — 126.

57 მედალი — ასეთია ქართველ სპორტსმენთა ნადავლი. აქედან 15 „ოქრო“ მოპოვებული, დანარჩენი ვერცხლი და ბრინჯაო. 60 სპორტსმენი კი საკავშირო ნაკრებ გუნდშია შეყვანილი.

საქართველოს ფიზკულტურელთა წინაშე მომავლშიც დიდი ამოცანებია. მათ უნდა მიაღწიონ ახალ წარმატებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებაში. ქართველი სპორტსმენები კი წარმატებით უნდა მოემზადონ იმისათვის, რომ ღირსეულად გამოვიდნენ ოლიმპიურ ასპარეზობაზე მეხიკოში, იბრძოლონ სპორტული ოსტატობის შემდგომი აღმავლობისათვის, რომ პრიზიორთა შორის იყვნენ როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო სარბიელზე და ახალი გამარჯვებები მოუტანონ საქართველოს.

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე ფეხბურთში. პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის „დინამომ“, მეორე კიევის „დინამომ“, მესამე თბილისის „დინამომ“. დაიწყო მეორე წრე და უკვე გათამაშდა ორი ტური. თბილისელებმა ერთი თამაში მოიგეს ლენინგრადის „ზენიტთან“ — 6:1, მეორე კი ფრედ დაამთავრეს მინსკის „დინამოსთან“ — 1:1, ქუთაისელებმა 3:3 ითამაშეს მინსკის „დინამოსთან“, 3:0 მოუგეს ლენინგრადის „ზენიტს“. თბილისელები კვლავ ინარჩუნებენ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილს, ქუთაისელებმა კი სამი ადგილით გადაინაცვლეს წინ.

განსაკუთრებით მეხსიერებაში დარჩა მაყურებელს თბილისელთა მატჩი ლენინგრადის „ზენიტთან“ და მარცხენა გარემარბის მიხეილ მესხის თამაში. იგი ამ დღეს თავის 250-ე მატჩს ატარებდა მშობლიურ კოლექტივში და იუბილე სამი ბრწყინვალედ გატანილი ბურთით აღნიშნა. ვისაც მ. მესხის თამაშები უნახავს, დამეთანხმება, რომ ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო.

ო. ლორთქიფანიძე.

შენ დაკუმპეს. ჟურნალისტი!



გიორგი ივანეს-ძე ლაცაბიძე.

გენია ლევანის-ძე გოგორიშვილს, დაბადებულს 1914 წელს ქ. ტყიბულში, ეძებენ მეუღლე — იზოლდა თომას ასული გოგორიშვილი, შვილები — ცეზარი, ციური, გიონი გოგორიშვილები.

კოლია (ნიკოლოზ) ერმისოს-ძე ჩხაიძეს, დაბადებულს 1920 წელს ლანჩხუთში, ეძებს და — ლიდა ერმისოს ასული ჩხაიძე.

ლევან არსენის-ძე ჩახვაძეს, დაბადებულს 1912 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში, ეძებს დედა — ნამეტი ივანეს ასული ჩახვაძე.

გიორგი ივანეს-ძე ლაცაბიძეს, დაბადებულს 1903 წელს ქ. ხაშურში, ეძებენ მეუღლე — მარიამ (მარუსა) ალექსის ასული, შვილები — კუკური, ქეთევანი, მერი, ჯულიეტა ლაცაბიძეები.



კოლია ერმისოს-ძე ჩხაიძე.

კოლია (ნიკოლოზ) იასონის-ძე გელაშვილს, დაბადებულს 1909 წელს ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში, ეძებს შვილი — ვენერა ნიკოლოზის ასული გელაშვილი.


ვანო გიორგის-ძე ხიზანიშვილს, დაბადებულს 1918 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში, ეძებს დედა — ანიკო მაჭავარის ასული ხიზანიშვილი.

ზაქარია (შაქრო) მიხეილის-ძე გოდაბრელიძეს, დაბადებულს 1908 წელს, თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში, ეძებენ შვილები — ვენერა, ზაირა, გელა გოდაბრელიძეები.

გიორგი (გიგა) ზაქარიას-ძე მრელაშვილს, დაბადებულს 1900 წელს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში, ეძებს და — ანა ზაქარიას ასული მრელაშვილი.

სერგო ვასილის-ძე მათითაიშვილს (საზღვარგარეთ წასული 1924 წელს), ეძებს შვილი — ეთერ სერგოს ასული მათითაიშვილი.

პარმენ ესეს-ძე ჰანუშვაძეს, დაბადებულს 1896 წელს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედში, ეძებს და — ნინო ესეს ასული ჰანუშვაძე.





სურათებზე: მარცხნივ — ლევან არსენის-ძე ჩახვაძე; მარჯვნივ — გენია ლევანის-ძე გოგორიშვილი თავის მეუღლესთან ერთად.

„უსახელაური“ საექსპორტოდ

„უსახელაურმა“ მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მას აწარმოებენ მხოლოდ ცაგერის რაიონის სოფლებში — ზუბში, ოყურეშსა და ისუნდერში. ამასწინანდელ საერთაშორისო გამოფენაზე ამ ღვინომ ოქროს მედალი მოიპოვა. წელს ყურძენი, რომლისგანაც მზადდება „უსახელაური“, მოიკრიფება 100 ჰექტარზე. ხუთი ათასი დეკალიტრი საუცხოო ქართული ღვინო საექსპორტოდ გაიგზავნება.

დროულად გამოიწერეთ საქართველო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: სამუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ვისაუბრით

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.